ღია მმართველობა საქართველოს ფორუმში არასამთავრობო ორგანიზაციების გაწევრიანების კრიტერიუმები, წევრობის შეწყვეტის საფუძვლები და გადაწყვეტილებების მიღების წესები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 თებერვლის №110 დადგენილების შესაბამისად, **ღია მმართველობა საქართველოს ფორუმში** (შემდგომში - ფორუმი) არასამთავრობო ორგანიზაციის გაწევრიანების მიზნით საჭიროა ჩამოყალიბდეს შერჩევის კრიტერიუმები. დადგენილების შესაბამისად:

1. ფორუმის წევრობის მსურველი არასამთავრობო ორგანიზაცია წერილობით მიმართავს ფორუმის არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელ თანამომხსენებელს (შემდგომში - თანამომხსენებელი).
2. ფორუმის წევრობის მსურველი არასამთავრობო ორგანიზაციის შერჩევის კრიტერიუმებს ადგენს და ამტკიცებს ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები.
3. ფორუმის თანამომხსენებელი ფორუმში ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის გაწევრიანების (წევრობის კანდიდატის მიერ ფორუმის წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესახებ) ან მოქმედი წევრის სტატუსის შეწყვეტის შესახებ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობებს ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველო).
4. ფორუმის ახალი წევრი ორგანიზაციის საბჭოში გაწევრიანების შესახებ საბჭოს თავმჯდომარეს წინადადებას წარუდგენს სამდივნო.

1. გაწევრიანების კრიტერიუმები

ფორუმში[1] გაწევრიანება შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ და მოქმედ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. საქმიანობით გამოხატულად მხარს უჭერს ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership – OGP) ღირებულებებსა და პრინციპებს;
2. აქვს OGP-ის მინიმუმ ერთი გამოწვევის[2] მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;
3. წევრობაზე განაცხადის წარდგენის მომენტისათვის, ორგანიზაციას აქვს უწყვეტი საქმიანობის სამ წლიანი გამოცდილება.
4. ორგანიზაციის მმართველ ორგანოში არ არიან წარმოდგენილნი საჯარო მოხელეები ან/და პოლიტიკური პარტიის წევრები;

[1] ფორუმის უფლება-მოვალეობები დადგენილია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 თებერვლის N 110 დადგენილებით.

[2] OGP-ის გამოწვევებია: 1. საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, 2. საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, 3. საჯარო რესურსების უკეთესი მართვა, 4. უსაფრთხო გარემოს შექმნა და 5. კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.

5. ორგანიზაცია არ იყენებს სიძულვილის ენას;
6. ორგანიზაციის დაფინანსებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

2. ფორუმში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

- ფორუმში ხმის უფლებით მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები ფორუმში ახალი წევრის გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ სრული შემადგენლობის 2/3-ით;
- ფორუმის თანამომხსენებელი ფორუმში არასამთავრობო ორგანიზაციის გაწევრიანების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობებს ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს.

3. ფორუმის/საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძვლები

ფორუმის/საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

- არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა;
- ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ წევრობის შეწყვეტის შესახებ განცხადება;
- ორგანიზაციის წარმომადგენელი წევრის მიერ ახსნა-განმარტების გარეშე ერთი წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების უმრავლესობის (50%+1) გაცდენა;
- წევრობის კრიტერიუმების მოთხოვნათა დარღვევა;
- ფორუმის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაცია ავტომატურად კარგავს საბჭოს წევრობას.

4. ფორუმის/საბჭოს წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

ფორუმის/საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში:

- ფორუმის/საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ერთი წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების უმრავლესობის გაცდენის შესახებ ფორუმის თანამომხსენებელს ატყობინებს სამდივნო;
- ფორუმის/საბჭოს მოქმედი წევრის მიერ კრიტერიუმებში გაწერილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ფორუმის/საბჭოს მოქმედი ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია ფორუმის თანამომხსენებელს წერილობით მიმართოს ორგანიზაციის წევრობის საკითხის განხილვის მოთხოვნით;
- ფორუმის თანამომხსენებელი ფორუმის/საბჭოს წევრ ორგანიზაციას წერილობით ატყობინებს მისი წევრობის საკითხის განხილვის შესახებ შემოსული განცხადების შესახებ არაუმეტეს სამი კალენდარული დღის ვადაში; აღნიშნულის შესახებ ფორუმის თანამომხსენებელი ასევე ატყობინებს ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს;

- ორგანიზაცია ფორუმის თანამომხსენებელს წერილობით პასუხს წარუდგენს შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს ათი კალენდარული დღის ვადაში;
- ფორუმში ხმის უფლებით მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები ფორუმის წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ სრული შემადგენლობის 2/3-ით;
- ფორუმის თანამომხსენებელი ფორუმის/საბჭოს მოქმედი წევრის სტატუსის შეწყვეტის/გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობებს ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს.